საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

12/12/2022
N 2031

2031-09-02-11-3-202212121453

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2022 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაწყებულია განხილვის პროცედურები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით ინიცირებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№09-01-08/38, 17.11.2022), რომელზეც წამყვან კომიტეტად განსაზღვრულია საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი.

აღნიშნულ კანონის პროექტზე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული განხილვის ვადების დაცვისა და პროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომისათვის სრულყოფილად მომზადების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, წამყვან კომიტეტში განხილვის ვადა გააგრძელოთ 2023 წლის 31 მარტამდე.

პატივისცემით,

ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე